ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

ხარაგაული 17 ნოემბერი 2023 წელი

სხდომის დაწყების დრო: 15 საათი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი წევრები:

1.ლალი სებისკვერაძე

2.ვალერი გოგნაძე

3. როლანდი ცუცქირიძე

4.ნატო შათირიშვილი

5.რევაზ შერგელაშვილი

6.ივანე ბარბაქაძე

7. ჰამლეტი ბერაძე

8.მარიკა ხარატიშვილი

9.მანანა ტაბაშიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი . მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე.

მერიის საფინანსო განყოფილების გამგე ქალბატონი ნინო მაღლაკელიძე.

სხდომის თავმჯდომარე: ვალერი გოგნაძე.

სხდომის მდივანი : სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ, ვალერი გოგნაძემ,მან სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მერის მრჩეველთა საბჭოსთვის. 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები ინფრასტრუქტურის, სოციალური სფეროს , ჯანდაცვის, განათლების და კულტურის კუთხით.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხრე:9

წინააღმდეგი:0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკითხი 1. მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მერის მრჩეველთა საბჭოსთვის.

2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები ინფრასტრუქტურის, სოციალური სფეროს , ჯანდაცვის, განათლების და კულტურის კუთხით.მომხსენებელი მერის პირველი მოადგილე ვალერი ჭიპაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულომ 2023 წლის 21 დეკემბერს უნდა დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, მრჩეველთა საბჭო ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი ბიუჯეტი.მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვისას არ იქნება არამიზნობრივი ხარჯები. 2024 წლის ბიუჯეტი გაზრდილია და მხოლოდ ტრანსფერი შეადგენს 9 358 016 ლარს,რაც 740 200 ლარით აღემატება შარშანდელ ბიუჯეტს.გაზრდილი შემოსავლების ფონზე დაიხარჯება 13 373 700 ლარი რასაც დაემატება წინა წელს დარჩენილი თანხა და სულ 2024 წელს დაიხარჯება 14 868 400 ლარი.

2024 წლის ბიუჯეტში სხვა ძირითად საკითხებთან ერთად პრიორიტეტულია ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანების, მარტოხელა დედების დახმარება, ვეტერანების დახმარება,სხვადასხვა ინფრასტრუქრურული პროექტები.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ბიუჯეტის მიღებისას დავიცვათ გამჭვირვალობა, რადგან ეს მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტია და მისი შედგენისას მნიშვნელოვანია მოვისმინოთ საზოგადოების ხმა. სწორედაც საზოგადოებას წარმოადგენენ საბჭოს წევრები , რომლებიც თავიანთ სფეროში კომპეტენტური ადამიანები არიან და აქტიურად თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის მერთან და მერიასთან.

პოზიტიური საკითხი რაც 2024 წელსაც გაგრძელდება არის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი, სადაც ნათლად ჩანს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა. არაერთმა პროექტმა მოიპოვა გამარჯვება წინა წელს. .აღნიშნული პროექტები 2024 წელსაც განხორციელდება და უფრო მეტი წინადადებები დაფინანსდება.

მერის მოადგილემ დაწვრილებით ისაუბრა ბიუჯეტის თვითეულ პუნქტზე და საბჭოს წევრებს დაწვრილებით მიაწოდა ინფორმაცია.

2024 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტი კვლავ სოციალურ, კულტურულ და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მიენიჭება. აქტიური მოქალაქეები ბრძანდებით, ველოდებით, რომ გაეცნობით ბიუჯეტის პროექტს და თქვენ შეხედულებებსა და წინანდადებებს გაგვაცნობთ, რომლებიც ჩვენ უფლებამოსილებებსა და შესაძლებლობებთან შესაბამისობაში იქნება, აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა შეხვედრაზე.

აზრი გამოთქვა: მანანა ტაბაშიძემ , მან შეკითხვა დასვა მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით და მოითხოვა ამ პრობლემის მოგვარებაზე მეტი ყურადღების გამახვილება მერიის მხრიდან. ასევე ისაუბრა ზრდასრულთა განათლების ცენტრის მუშაობის დადებით მხარეებზე.

ასევე აზრი გამოთქვა სოფელ ღორეშის მკვიდრმა ივანე ბარბაქაძემ , მან აღნიშნა რომ სოფელში არის მიუსაფარი ადამიანი, რომელსაც უვლის საკუთარი ძმა და ისინი საჭიროებენ გადაუდებელ ყურადრებას მერიის შესაბამისი სამსახურებიდან.

მერის პირველმა მოადგილემ ვარლამ ჭიპაშვილმა დაავალა შესაბამის სამსახურებს სასწრაფო რეაგირება ამ საკითხზე .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან .

დაკავშირებით სხდომა შეწყდა.

სხდომის დასრულების დრო 17 საათი

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ვ.გოგნაძე /ვ.გოგნაძე/
მრჩეველთა საბჭოს მდივანი: ნ. შათირიშვილი /ნ. შათირიშვილი/